სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

19/05/2025

MES 3 25 0000542514

**ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის**
**დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 28 იანვრის N73255 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 16 აპრილის N 421178 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2025 წლის 17 აპრილის N 422695 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 15 მაისის N01-05-04/81 დადგენილების შესაბამისად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის მიზნით

**ვბრძანებ** :

**1.** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 16 აპრილის N 421178 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2025 წლის პირველი მარტიდან პირველ აგვისტომდე 5 (ხუთი) კალენდარული თვის განმავლობაში გაიცეს სახელმწიფო სტიპენდია თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ და ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებზე, რომლებსაც სწავლების წინა სემესტრში ათვისებული აქვთ არანაკლებ 25 კრედიტისა;

**2.** სტიპენდიანტთა რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით განისაზღვროს სტუ-ის ბაკალავრიატის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად:

| № | ფაკულტეტი | სტუდენტთა რ-ბა |
|---|---|---|
| 1 | სამშენებლო | **87** |
| 2 | ენერგეტიკის | **78** |
| 3 | სამთო-გეოლოგიური | **54** |
| 4 | ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის | **30** |
| 5 | სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის | **58** |
| 6 | არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის | **76** |
| 7 | სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების | **103** |
| 8 | ინფორმატიკის და მართვის სისტემების | **197** |
| 9 | დიზაინის საერთაშორისო სკოლა | **16** |
| 10 | აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის | **121** |
| 11 | ბიზნესტექნოლოგიების | **103** |
| 12 | საინჟინრო ეკონომიკის,მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა | **62** |
| 13 | მთის მდგრადი განვითარების | **26** |

**3**. სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს ფაკულტეტებზე 2024–2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 16 აპრილის N 421178 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად ( იხ.დანართი 1);

**4.** ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს „სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე“ ბრძანების პროექტის მომზადება;

**5.** ბრძანების კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს;

**6.** ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყონ ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებებმა;

**7.** ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

**8.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ